პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 20 მარტი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 60 (748) 1 და 2 ქ.მ.დ. კოლონ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ვანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

შაბათს, 21—მარტს, დღის 12—საათზე აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ახალი შემადგენლობის ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. აღმასკომის პრეზიდიუმის და სხვა ორგანოთა წევრთა არჩევნები.
2. მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის საბჭ. თავმჯდომარე

(ლ. სუხიშვილი).

---

**შაბათს, 21 მარტს, დილის 11 საათზე, აღმასკომის დარბაზში მოწვეულია თბილისის ახალი შემადგენლობის აღმასკომის კომუნისტურ ფრაქციის სხდომა**

დაუგვიანებლათ გამოცხადება აღმასკომის პარტიულ წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

აღმასკომის კომფრაქციის ბიურო.

## [არ]ც ჟენევის ოქმი არც საგარანტიო ხელშეკრულება.

[...]მას წინად ჩვენ გამოვთ[...]თ აზრი ჩემბერლენსა და [...]ოს შორის განზრახულ მო[...]ლაპარაკების შესახებ, რომ ის [...]ყოფოთ დამთავრდება და [...]ანხმებას მხარეები ვერ [მია]ღწევენო.

[...]ღევანდელი რადიო სავსებით [ადას]ტურებს ამ აზრს. ჩემბერ[ლე]ნს მისი ხრიკები არ გაუ[ვიდ]ა. მან თავისი უარისყოფით [ჟენ]ევის ოქმის დამტკიცებაზე [...]ი შეუწყო მის გაუქმებას, [მაგრ]ამ ვერც თავისი „საგარანტიო [ხელ]შეკრულება“ გაიტანა. რო[გო]რც ფრანგული გაზეთი „ტა[...] ისე თვით ინგლისური [„დე]ილი ტელეგრაფიც“ აღას[ტუ]რებენ იმ გარემოებას, რომ [ჩემბ]ერლენის ცდებმა ახალი [ხელ]შეკრულების დადების შე[სახე]ბ, უნაყოფოდ ჩაიარა.

[ამ]რიგად ჩვენ ვდგევართ ერთ [...]რ უთანხმოების წინაშე ორ [...]დ მოკავშირეთა—ინგლისსა [და] საფრანგეთს შორის.

[დ]ღემდი ასე თუ ისე მაინც [არს]ებობდა ჟენევის ოქმის სა[ხით] რაღაცა ოფიციალური [დო]კუმენტი, რომელიც თით[ქო]ს „გარანტიას“ იძლეოდა [...]დობიანობისა და სისხლის [ღვრ]ის თავიდან აცილებ[ი]ს, მა[გრამ ...]ლია ნამდვილათ მას არა[ვით]არი ღირებულება არ ჰქო[ნდ]ა, მაგრამ ის მაინც არსებო[ბდ]ა, როგორც ოფიციალური [ხელ]შეკრულება. დღეს არც [ის] არსებობს და არც სხვა რამ [მის] მაგიერი. როდესაც ჟენევის [შეთ]ანხმება მოხდა სოციალ-გა[მც]ემლებმა და ყველა დემო[კრატიულმა] მეოცნებეებმა გამოგვიჭედეს ყური ლაპარაკით, რომ ხომ ხედავთ ერთა ლიგამ შექმნა ისეთი გარანტია ჟენევის ოქმის სახით, რომელიც სამუდამოდ ბოლოს მოუღებს სისხლის ღვრასო.

სულ ერთი წელი არ არის მას შემდეგ და ეს „გენიალური“ ქმნილება ერთა ლიგის უკვე გაჰქრა ისე, როგორც გაზაფხულის თოვლი. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა ერთა ლიგის სრული გაკოტრება.

გაკოტრებული ის თავიდანვე იყო, ვინაიდან ერთ ერთი პოლიტიკური იარაღი იყო იმპერიალისტური ბურჟუაზიისა.

რას გვეუბნება ყოველივე ეს?

იმას, რომ ვერავითარი ერთა ლიგა, ვერავითარი ჟენევის შეთანხმება, გინდ ჩემბერლენის საგარანტიო ხელშეკრულება ვერ იხსნის კაცობრიობას იმპერიალისტურ ომებისაგან და თავდასხმებისაგან.

სანამ არსებობს კაპიტალისტური სახელმწიფო მანამდი იარსებებს ომის საშიშროებაც და ვერავითარი შეთანხმება, ქაღალდზე დადებული იმპერიალისტების მიერ ვერ მოსპობს მას, ვინაიდან ისეთივე ბედი ეწვევა რაც ჟენევის ოქმს.

ყოველივე ასეთი ხელშეკრულება მხოლოდ თვალის ახვევაა მშრომელი ხალხის.

იმპერიალისტურ ომს მაშინ მოეღება ბოლო, როცა მთელი მსოფლიო პროლეტარიატი მას იარაღით ხელში ომს გამოუცხადებს.

## [ჩე]მბერლენი დაბრუნდა ლონდონში.

ჩემბერლენი დაბრუნდა პარიზიდან ლონდონში. ჯერ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩემბერლენის პროექტი საგარანტიო საკითხში დამარცხდა.

ინგლისის პოლიტიკური წრეები ამტკიცებენ ჩემბერლენის დამარცხებას უზრუნველყოფის გარანტიის საკითხში.

„დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი დასძენს, რომ ჩემბერლენი ფიქრობდა ხელშეკრულების დადებას ჯერ ბელგიასა და საფრანგეთთან, ხოლო შემდეგ გერმანიასთან.

იმავე დროს ზოგიერთი მინისტრები, მათ რიცხვში კერზონი, აბერნონიც მოითხოვდენ საერთო ხელშეკრულებას გერმანიასთან.

## პოლიტის მოტაცების გარშემო.

პოლიტის მოტაცებასთან დაკავშირებით ინგლისის პროფკავშირთა უმცირესობამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც აცხადებს, რომ ეს უხეში შეურაცყოფა არ დარჩება პასუხის გაუცემლად.

ინგლისის ფაშისტებს კავშირი წერილობით უარყოფენ ყოველგვარ მონაწილეობას პოლიტის მოტაცებაში.

ბურჟუაზიული პრესა სცდილობს საქმის გამასხარავებას და ამტკიცებს, რომ ეს საქმე გააზვიადა თვით კომუნისტებმაო.

## პოლიტის მომტაცებლები.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, აღმოაჩინეს 8 კაცისაგან ოთხი, რომლებიც მონაწილეობდენ პოლიტის მოტაცებაში.

---

## გერმანიაში ძლიერდება რკინის გზელთა გაფიცვები.

გერმანიის რკინის გზელთა გაფიცვების გარშემო სამედიატორო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია როგორც მეპატრონეების, ისე მუშების წინააღმდეგაც.

გერმანიის რკინის გზელთა პრეზიდიუმმა მუშათა მასების მოთხოვნით უარყო სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ თანახმაა დაიწყოს ხელახალი მოლაპარაკება.

გაფიცვები მოედო ბრემენსაც.

---

## საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების გარშემო.

### საფრანგეთ-რუსეთის საპარლამენტო კომისია.

საფრანგეთის პალატასთან შესდგა საფრანგეთ-რუსეთის საპარლამენტო ჯგუფი, რომელშიაც შედიან სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები, რიცხვით 15 კაცი.

დაარსებულია სექციები, რომლებმაც უნდა შეისწავლონ ეკონომიური, ფინანსიური და საბაჟო საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობასთან.

---

## შეტაკება ინდუსებსა და მუსულმანებს შორის.

რეიტერის სააგენტო ცნობითს, მუნიციპალურ არჩევნების დროს დელში მოხდა შეტაკება მუსულმანებსა და ინდუსებს შორის.

მოკლულ იქნა ერთი კაცი, დაიჭრა 30.

## ძმური ხელი.

### საბჭოთა კავშირის მუშები-იტალიის მუშებს.

საბჭოთა კავშირის მელითონეებმა გაუგზავნა იტალიის მელითონეებს შემდეგი დეპეშა:

„ცნობამ, თქვენ მიერ ბრძოლის დაწყების შესახებ, მხურვალე გამოძახილი ჰპოვა რუსეთის მელითონეებს შორის.

გიგზავნით 5.000 მანეთს.“

## დახმარება დასავლეთის რევოლიუციონერებს.

პარიზის კომუნის დღეს სტავროპოლის ადგილობრივმა რემედასის განყოფილებამ შეიტანა დასავლეთ ევროპის დაპატიმრებულ რევოლიუციონერთა სასარგებლოდ 15.000 მანეთი.

## გალიეი სისხლის ღვრის გარშემო.

### ბერლინის პოლიციამ აკრძალა მუშათა დემონსტრაცია.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა გადასწყვიტეს მოეწყოთ თვრამეტ მარტს ბერლინში საპროტესტო დემონსტრაცია გალეში მომხდარ სისხლის ღვრის გამო, მაგრამ დემონსტრაცია აკრძალული იქნა პოლიცის მიერ.

## ლენინგრადის მუშათა პროტესტი.

ლენინგრადის მუშებს გამოაქვთ პროტესტის რეზოლიუციები გერმანიის პოლიციის მიერ მუშების დახვრეტის გამო გალეში მომხდარ ყრილობის დროს.

---

## ჟუოს ყინიანობა.

საფრანგეთში გაიხსნა შრომის საერთაშორისო კონფედერაციის ნაციონალური კომიტეტის სესია.

კონფედერაციის მდივანმა ჟუომ შეიტანა წინადადება, რომელშიაც ნათქვამია: „შრომის საერთაშორისო კონფედერაცია მიიღებს არსებით გადაწყვეტილებას სამუშაო ხელფასის საკითხის გადაჭრაში“.

წინადადება მიღებულ იქნა კრების მიერ.

პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ ჟუომ განაცხადა: „ამსტერდამის ინტერნაციონალი ძველ პოზიციაზე სდგას. ის შესაძლებლად სთვლის რუსეთის ორგანიზაციების შესვლას ინტერნაციონალში, მაგრამ შეუძლებლათ სთვლის მოლაპარაკების წარმოებას პროფინტერნთან.

„მე არ ვიქნები არავითარი დათმობის თანახმა.

თუ რომ მუშათა მოძრაობამ განიცადა რაიმე ცვლილება, ეს იქნება ჩემს გარეშე“.

---

## შიმშილობა აღმოსავლეთ გალიციაში.

აღმოსავლეთ გალიციაში შიმშილობა მძვინვარებს.

დაიღუპა ზამთრის ნათესების ნაწილი. მთავრობამ გადასდო თანხა, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

შიმშილობა მეფობს: აღმოსავლეთ გალიციის დასავლეთ ნაწილში, ნეზოლში, იავაროვ „გოროდოკში“, კოლომეანში, კარპატიის ქვედა რაიონში, სკოლეში, ლომკოვშინის და გუზულმჩინეს რაიონებში.

15 მარტს უკრაინის პარტიებმა ლვოვში შეადგინეს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. დასავლეთ უკრაინის კომპარტიამ შეადგინა საკუთარი კომიტეტი და გამოუშვა მოწოდება მოსახლეობისადმი.

## საგულისხმო დახასიათება.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა: „იმისთვის, რომ ინგლისის მთავრობას საშუალება ჰქონდეს გადადგას რაიმე ახალი ნაბიჯები, რომლებიც სასარგებლო და ნაყოფიერი იქნებოდა, საჭიროა რომ ჩვენს საერთო ურთიერთობა'ს ჰქონდეს მეგობრული და გულითადი ხასიათი მსოფლიოს ყველა ნაწილებში, ვინემ ეს დღეს აქვს.“

## მალას მალას დავახვედრებთ.

პოლიციის მოტაცებასთან დაკავშირებით ინგლისის კომპარტიის ბიურო ჯამს უკეთებს ფაშისტების საქმიანობას და ამტკიცებს კარგად მოწყობილ მოძრაობის არსებობას, რომელიც ჯერ-ჯერობით კმაყოფილდება საბოტაჟით და ძალადობით, მაგრამ ის გააფართოვებს თავის საქმიანობას მუშათა კლასის წინააღმდეგ რაიმე პოლიტიკურ ან სამრეწველო კრიზისის დროს.

პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ ფაშისტური მოძრაობის წინააღმდეგ ინგლისში კომპარტია მიიღებს ყოველგვარ ზომას თავდაცვის მიზნით.

## კერზონი მძიმე ავად არის.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ კერზონის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნუგეშოა.

## „გერმანიის ჩეკას“ საქმე.

18 მარტის სხდომაზე მეჩექმე მიტკე აცხადებს, რომ ნეიმანმა, რომელიც სცხოვრობდა მასთან 1923-24 წელში, ზამთარში, გაანდო მას თავისი განზრახვა პოლიტიკური პროცესის ინსცენიროვკის შესახებ ერთი პოლიტიკური პარტიის სახელის გატეხის მიზნით.

ნეიმანი უარყოფს მიტკეს ჩვენებას.

## საბავშვო საიდუმლო სახლი.

### სულის მამათა გასამართლება.

დასრულდა გამოძიება პოლონურ საიდუმლო საბავშვო სახლის შესახებ.

ბავშვები სცხოვრობდენ საშინელ პირობებში. პატრი შეინფელდის ხელმძღვანელობით ბავშვებს წელიწადში რამოდენიმეხელ მოამზადებდენ აღსარებისათვის და მთელი დღეობით არ აჭმევდენ საჭმელს. მათ ასრულებიებდენ მძიმე სამუშაოებს.

პატრი (კათოლიკე მღვდელი) აშბერგი მართავდა დღესასწაულებს, რომლებზედაც იმსახურებდენ ბავშვებს. ხშირად ეს დღესასწაულები თავდებოდა იმით, რომ სტუმრები უწყალოდ სცემდენ ბავშვებს.

შემთხვევით სახლში ჩავარდნილ არაპოლონელ ბავშვებს ძალად აღებიებდენ კათოლიკურ სარწმუნოებას.

ამხლო მომავალში სასამართლო დაიწყებს ამ საქმეს.

საქმის წარმოება პოლონურ ენაზე იქნება.

## მალე იქაც დაჰკარგავენ თავშესაფარს.

შორეულ—აღმოსავლეთის რევკომის წარმომადგენლებმა იმოგზაურეს ჩრდილოეთ სახალინისაკენ.

სახალინიდან მოსულები მოგვითხრობენ, რომ რუსი თეთრ გვარდიელები აშინებენ მოსახლეობას წითელი ძალა-უფლების ყოველგვარი საშინელებით და გარბიან ბრაზილიისაკენ.

## იტალიაში ძლიერდება მუშათა გაფიცვები.

### უმეტესობა წითელ ფედერაციასთანაა.

ტურინში (იტალიაში) გაფიცვები მოედო მთელ ლითონის სამრეწველო დაწესებულებებს. მილანში იზრდება გაფიცულთა რიცხვი. ვენეციაში და ჯულში მელითონეთა ფედერაციამ გამოაცხადა გაფიცვები.

რადგანაც გამოირკვა საბოლოოდ, რომ მუშათა უმეტესობა მელითონეების ფედერაციას მიყვება, ფაშისტურმა პრესამ თავი დაანება გამარჯვების ქადილს.

## ფაშისტების ძალმომრეობა.

უკანასკნელი ცნობების თანახმად 30.000 გაფიცულ მელითონეთაგან მილანში მუშაობას დაუბრუნდა 6.000 კაცი.

პოლიცია დევნის მუშათა კრებებს.

კომუნისტური გაზეთები დახურულ იქნა საგაფიცვო მოწოდების გამოშვებისათვის.

## პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციის მოთხოვნილება.

პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციამ შეიტანა შეკითხვა გალლეში მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ და მოითხოვა აღძრულ იქნას საქმე პოლიციის უფროსის—სოციალ—დემოკრატ რუნგეს წინააღმდეგ და შესდგეს საგამომძიებლო კომისია გალეს მუშათა 15 წარმომადგენლის შემადგენლობით.

## სუნ-იატ-სენის გარდაცვალების შემდეგ.

დაიწყო მუშაობა სუნ-იატ-სენის სასაფლაოს მოწყობის საქმეში. ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის თანაგრძნობის დეპეშები.

თანაგრძნობის დეპეშებს გზავნიან აგრეთვე სამხედრო ძალები. თანაგრძნობის დეპეშა არ გაუგზავნია მხოლოდ ჩჟან-ცზო-ლინს.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კარახანმა პირადათ, ინახულა სუნ-იატ-სენის ოჯახი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის დეპეშა.

## მზადება საბჭოთა ჩინეთის კონფერენციისთვის.

ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარე ჩინეთ—საბჭოთა კონფერენციაზე ვან-ჩჟენ-ტინგი მიემგზავრება მუკდენში და კალმანში, სადაც უნდა განიხილოს საკითხების მთელი რიგი ჩჟან-ცზო-ლინთან და ფინ-იუი-სიანთან.

## პოლონეთის კომუნისტების წინადადება.

პოლონეთის სეიმის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა წინადადება პოლიტიკურ პატიმართა საყოველთაო ამნისტიის შესახებ.

## სამხედრო საქმე

### კარგ მებრძოლს კარგათ უნდა ქონდეს შე... სწავლილი სამხედრო საინჟინერო საქმე...

სამხედრო ხელოვნების უმთავრესი მიზანი ის არის, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით მოიპოვოს სრული გამარჯვება.

ამ მიზნით ორივე მხარე ბრძოლაში ცდილობს ისეთი ადგილი მონახოს, რომელიც მას ხელს შეუწყობს მიზნის განსახორციელებლათ. ადგილმდებარეობას დიდი გავლენა აქვს ბრძოლის ამა თუ იმ შედეგებზე. ადგილმდებარეობას შეუძლია ერთი მხრივ გამოადგეს რომელიმე მხარეს და მეორე მახრესთვის კი იქმნეს სრულებით უვარგისი.

საზოგადოთ ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივმართოთ ისეთ ადგილებს, რომლებიც საშუალებას იძლევა საბრძოლო იარაღის გამოყენებისათვის, ხელს უწყობს ჯარების ფარულად დალაგებასა და გადაჯგუფება-გადმოჯგუფებას; იძლევა სათვალთვალო და სათოფავ სივრცეებს.

მაგრამ ყოველთვის ასეთი ადგილების არჩევა ბრძოლისათვის შეუძლებელია. სხვა და სხვა გარემოებაში ჩვენ ხშირათ იძულებული ვიქნებით ვაწარმოვოთ ბრძოლა ისეთ ადგილებზე, რომლებიც, შესაძლებელია ჩვენთვის ხელსაყრელი არ იყოს.

ამასთან ერთად თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ სამხედრო ტეხნიკის განვითარებას, ჩვენთვის უკვე გასაგები იქნება, რომ ასეთი ადგილების გამორჩევა თითქმის შეუძლებელია.

ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ ადგილმდებარეობის ხელოვნ... რათ გადაკეთებას ან მოშ... ჯვებას და მოწყობას სხვა ... სხვა ხელოვნური ნაშენებ... აგებით.

თანამედროვე სამხედრო ტ... ხნიკის განვითარება საშუალ... ბას გვაძლევს გამოვიყენ... ესა თუ ის ადგილმდებარეო... თვისებები, თუ კი რომ ... მოვახთენთ მასზე ერთგვარ ... დახალისებას ერთგვარ შესწ... რებას.

ამ მიზნით ყველა ადგილმ... ბარეობაზე საჭიროა ერთი ... რივ მოსპობა ჩვენთვის ყოვე... გვარ დაბრკოლებებისა და ... ორე მხრივ გაძლიერება, მ... ისეთი ნაშენებით, რომლ... ბიც საშუალებას მოგვც... საბრძოლო იარაღის საუკეთ... სოთ გამოყენებისათვის და ი... ვე დროს წარმოადგენს საფა... მოპირდაპირის ცეცხლისა ... თვალთვალისაგან.

ამასთან ერთად აუცილე... ლია საბრძოლო ველზე მოპი... დაპირისათვის ისეთი პირო... ბის შექმნა, რომლებიც ყო... ლმხრივ ხელს შეუშლის მ... მოქმედების განვითარებას.

საჭიროა თუ კი რომ, ა... გილობრივათ არ მოიპოვე... დაბრკოლებები, ასეთების ხ... ლოვნურათ აგება.

ჯარების მოძრაობისათვის ... ჭიროა რკინის გზებისა და ... დასასვლელი საშუალებების ... ება, ზოგიერთ შემთხვევაში ... ეთების განადგურებაც. ყვე... ეს შეადგენს სამხედრო სა... ჟინერო საქმეს და მისი შეს... ვლა სავალდებულოა თვით... ული ჩვენთაგანისათვის.

გ.

## ნუ თუ ყურადღების ღირსი არ არის?

ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ქართ. სამხ. სარედაქ.—საგამ. კოლეგიის მიერ გამოცემულია ქართულ ენაზე, რამოდენიმე წესდებები და სხვა და სსვა სახელმძღვანელოები სამხ. საქმისა, რომლებმაც დიდი სამსახური და დახმარება გაუწია ჯარის ნაწილებს სამხედრო საქმის ქართულად შესწავლაში.

ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას იპყრობს სამხ. ტერმინოლოგიის საკითხი. ყოველი ახალი გამოცემაში, თითქოს, როგორც აუცილებლივი საჭიროს და სავალდებულოს წარმოადგენდეს, ტერმინი და ზახილი გამოცვლილია. რომელი წესდება და სახელმძღვანელოც, რო არ გინდათ აიღოთ და გადაათვალიეროთ ამ ბოლო ხანებში გამოცემულთა შორის, ყველგან ერთი და იგივე საგანს სულ სხვა და სხვა სახელი ქვიან და სულ სხვა და სხვა ზახილებია.

ცხადია, ბევრნი არ იქნებიან მის წინააღმდეგი, რომ ბევრი ძველი სამხ. ტერმინები გამოცვლილ იქნეს, მაგრამ ნუ თუ ამ გამოცვლას არას დროს ბოლო და საზღვარი არ უნდა ექნეს?

ძალიან შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს იმას, თითქოს წესდებებში და სახელმძღვანელოებში ასე მალ-მალე ტერმინების გამოცვლას ქონდეს დადებითი მნიშვნელობა, გარდა უარყოფითისა ჯარის აღმზრდელობის საქმეში.

ეს გავლენა უფრო მეტია ტერიტორიალურ ნაწილებში და სათადარიგოთ დათხოვნილებზე.

არა ერთჯერ და ორჯერ მქონია პირდაპირ მე ასეთი შემთხვევა, მიმიცია შენიშვნა კურსანტზე იმის შესახებ, რომ ის ერთი და იგივე საგანზე, ერთ და იმავე დროს სხვა და სხვა ტერმინებს ხმარობდა და სხვა და სხვა ზახილებს იძლეოდა და პასუხად კი მივიღე: „ერთი წესდებაში ასე წერია, მეორეში ასე და მესამეში კი ასეო“ აბა ვინ იცის, რომელი მათში სწორი და მართალია? —რომელი ტერმინი და ზახილი მომადგება ენაზე იმას ვიტყვი, სულ ერთიაო, სანამ სკოლას დავამთავრებდე, კიდო გამოიცვლებაო ერთი სამჯერ მაინცო“ ვინც ჩაუკვირდება ამ სიტყვებს, ეს სიტყვები ბევრი, რამეს ლაპარაკობენ.

მოვიყვან ეხლა, მაგალითისთვის, რამოდენიმე ტერმინებს, როგორიც არის წესდებაში, მაგ. (лента) ჩფარიში არის ერთ წესდებაში, იგივე საგანი მეორეში—სარტყელა და მესამეში კი ბაფთა. (Прицельное кольцо) ერთში არის სამიზნო რგოლი, მეორეში მარტო „რგოლი“ და მესამეში კი „დასამიზნი რგოლი.“ ზახილი По кольцу вперед (наз.) 2... ერთში არის „რგოლით წინ (უკან)..., მეორეში „დასამიზნი რგოლით წინ (უკან) 3.—და მესამეში კი „რგოლის მიმართ წინ (უკან) 1.... (Откин замок) ერთში არის „გადმოსდე კლიტე“ და მეორეში კი „უკან, გადადეთ კლიტე“ (Ударник) დამცემი და ეხლა სარტყმელა და მრავალი სხვა ასეთები, რომლების ჩამოთვლა აქ შეუძლებელიც არის და ზედმეტიც. ზემო ჩამოთვლილი მაგალითები სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლათ, თუ რომელი საგანს რამდენი სხვა-და-სხვა ... ხელი ქვია და რომელი ტ... მინი, რომლით არის შე... ლილი. გამოდის, რომ ვის... რომელი მოეწონება და სწ... რეთ ცნობს იმ ტერმინს ... მარს, იმ ზახილს გასცემს, ... ჩემის აზრით სამხ. სამსახურ... ყოვლად დაუშვებელია. ძლ... ერ კარგი იქნება თუ სამხ. ... რედ.-საგამომც. კოლეგია ც... ტათ შეგვიბრალებდეს ჩვენ ... ისეთი ტერმინებს და ზა... ლებს, რომლებმაც, ასე რ... ვსთქვათ, უკვე მიიღეს მო... ლაქობრიობა, შეითვისა ... შეისწავლა ჯარის ნაწილე... და რომლებიც დატოვება ... ამახინჯებს ქართულ ენას.— გამოსცვლიდეს და რაც უ... რო მეტი საყურადღებო —რომ სხვადასხვა გამოცე... ში ერთი და იგივე საგ... ზე სხვადასხვა ტერმინებს ... იხმარდეს. რაც შეეხება, კ... ძოთ ზახილს: „რგოლის ... მართ წინ, (უკან) 2... „უკან გადადეთ კლიტ... მე პირადათ არას დროს ... შემიძლია დავეთანხმო მთა... გმელს.

ნ. ჩ.




## პარიზის კომუნის მოსაგონარი საღამო.

18 მარტს, ჩვენს ცენტრკლუბში გაიმართა პარიზის კომუნის 54 წ. თავის აღსანიშნავი საღამო, რასაც დაესწრენ, როგორც თბილისის გარნიზონში მდგომ ზოგიერთ ქართულ ნაწილების წითელ-არმიელები, მეთაურები და პოლიტშემადგენლობა, ისე შტაბის და პოლიტგანის მოსამსახურეები და მრავალი მუშები.

საღამოზე პარიზის კომუნის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩანტლაძემ, რის შემდეგ გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

შემდეგ, ცალკე საკავშირო ასეულის დრამწრემ გაუშვა ორ მოქმედებიანი რევოლიუციონური პიესა „პირველი ზარი“. პიესა კარგათ იქნა ჩატარებული. სცენის მოყვარეებს კარგად ჰქონდათ შესწავლილი თავიანთი როლები.

დასასრულ ნ. კავსაძის ლოტბარობით გუნდმა შეასრულა რამდენიმე რევოლიუციონური და ხალხური სიმღერა.

აღსანიშნავია ამ გუნდის მიერ ინტერნაციონალის თავისებურ, განსაკუთრებულ ჰანგზე მღერა.

საღამო გათავდა 10 საათზე. მოხსენების და წარმოდგენის დაწყების შუა, დიდმა დრომ განვლო, რაც დაუშვებელია და რომელიც შემდეგისათვის უნდა გამოსწორებულ იქნას.

კლუბი მორთული იყო შესაფერისი სურათებით, ლოზუნგებით და შტაბის მიერ გამოცემულ კედლის გაზეთის საგანგებო ნომრით.

ს.—ნ.

## პარიზის კომუნის 54 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

17 მარტს მოწვეული იქნა ქართულ მსროლელ გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მესამე ასეულის საერთო კრება. კრების დღის წესრიგში დასმული იყო ერთი საკითხი: „პარიზის კომუნის მნიშვნელობა და მისი დამარცხების მიზეზები.“

მომხსენებელი იყო ამხ. ადამია, რომელმაც საკმაოდ შესძლო თემის გაშუქება. ამხანაგმა ზედმიწევნით შესძლო იმ საშინელი სურათების გადმოცემა, თუ როგორ აწამებდენ და სტანჯავდენ რევოლიუციის ჯალათები პარიზის კომუნის გმირებს. კრებამ მოხსენების გარშემო მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მესამე ასეულის შემადგენლობამ, მოისმინა რა მოხსენება პარიზის კომუნის შესახებ, ერთხმად სდებს რევოლიუციონურ ფიცს, რომ პარიზის კომუნარების მიერ გადმოცემულ დროშის მუშათა კლასის სრულ გამარჯვებამდე მიტანის საქმისთვის ერთგულად და თავკამოდებით ვიბრძოლებთ. ჩვენ ვავალდებულებთ თითეულ კურსანტს, შეისწავლონ პარიზის კომუნა. გაუმარჯოს პარიზის კომუნის დაწყებულ საქმეს, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას.“

სამხკორი კენჭაძე.

## სანიტარული საათები ხშირად უნდა იკითხებოდეს.

ცალკე მესანგრეთა ასეულში მეცადინეობა სისტემატიურად მიდის ყოველ დარგში. ზოგი წითელ-არმიელი სამკითხველოში კითხულობს გაზეთს, ზოგი კერძოთ ეწაფებიან წიგნების კითხვას და სხვები.

ჯგუფის თავები წინასწარ ემზადებიან მეთაურებთან და ისე აწარმოებენ ამხანაგებთან გაკვეთილების გადაცემას.

მხოლოდ საჭიროა თუ მეტი არა, ორ დღეში ერთხელ მაინც ხდებოდეს ექიმის საუბარი, სხვა და სხვა სენის შესახებ. ამ მოკლე ხანში მხოლოთ ერთხელ შესდგა სანიტ-საათი, საჭიროა უფრო ხშირად სწარმოებდეს ის.

კარგი იქნება, რომ უფროსთა შემადგენლობა მოგვიწყობდეს ლიტერატურულ გასამართლებას და გამოგვინახონ სხვა საშვალებაც, რომ არც ერთი წითელი არმიელი არ იქნეს უსაქმოდ დარჩენილი.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

## საჭიროა სასპორტო იარაღები.

[პირველი ლეგ. უნცროს მეთ. სკოლის სპორტსამეულის საყურადღებოთ.

სკოლაში გვყავს გამოცდილი ვარჯიშთავი, რომელიც დიდი ენერგიულობით ასრულებს თავის მოვალეობას. წითელი მოლაშქრეებიც გულმოდგინეთ ვარჯიშობენ, რადგან მათ კარგად იციან თუ რა სარგებლობა მოაქვს საზოგადოთ სპორტს.

ვარჯიშობა ჯერ კიდევ უიარაღოთ მიმდინარეობს. არა გვაქვს არც ერთი სახის სავარჯიშო იარაღი.

არ ვიცი რას ფიქრობს სპორტსამეული. საჭიროა სასწრაფოდ მიიღოს ზომები სპორტიარაღების შესაძენად, თორემ ჩვენს მუშაობას დაეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა.

ახკორი ჩუტკლაშვილი.

## გაუგებრობა უნდა გამოსწორდეს.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ბიბლიოთეკები ყოველგვარ პერიოდულ გამოცემებს, როგორც ადგილობრივს ისე მოსკოვ-ლენინგრადისას ე. წ. კავკასიის სახელმწიფო-სამხედრო გამომცემლობის მეშვეობით ღებულობდენ. ჩვენ არ ვიცით რითი ხელმძღვანელობდენ აქ სათანადო ორგანოები ამ წესის შემოღებისას, მაგრამ ერთი კი ცხადია და სახელდობრ შემდეგი:—ამ, ე. წ. „КВИЗ“-ის შუამდგომლობამ ქართულ ჟურნალ გაზეთების მიღების საქმე სრულიად აწეწა და არც რუსული გამოცემების მიღების ბედია სახარბიელო—როგორც იქნა გვეღირსა ზოგიერთ ქართულ ჟურნალების გამოწერა, მაგრამ ჩვენმა „შაუმავალმა“ იმდენი სიკეთე გვიყო, რომ ჩვენი რედაქციებში შესვლა ჟურნალის მასალებათ-თანამშრომლებს პირდაპირ შეაზარა. ხან ფული არ არის დროზე გადახდილი, ხან სათანადო ქვითარი არ სჩანს, ხან თურმე ჟურნალები უკვე წაღებულია და სხვა ასეთები... მაგ. „მნათობი“ როგორც სჩანს მეექვსე ნომრიდან ყოფილა განმეორებით გამოწერილი და ჩვენ არ მიგვიღია. ეხლა კი გვიხდება ხელახლა საქმის გამორკვევა, დროს და ენერგიის დაკარგვა ჩვენცა და კანტორის თანამშრომლებსაც, რომ მივიღოთ წასული წლის ნომრები. ასეთივე ისტორიაა „დროშას“ კანტორაშიც... ერთი სიტყვით ტფილისის ჟურნალ გაზეთების გამოწერა „КВИЗ“-ის შუამავლობით, ეს პირდაპირ მარცხენა ხელით მარჯვენა ყურზე ხელის წავლებაა და სხვა არაფერი. რა საჭიროა საქმის ამრიგად გაზვიადება- ნუ თუ დიდი საქმეა რედაქციაში შევლა და ჟურნალ-გაზეთების გამოწერა უშაულოთ?

შეიძლება ცენტრალურ გამოცემებზე კიდევ დასაშვებია ასეთი „შუამავლობა“, მაგრამ მე მგონია არც აქაა ეს მაინცა და მაინც აუცილებელი, რადგან არც იქედან მოგვდის თავის დროზე იქაური გამოცემანი ან კიდევ ერთი შენიშვნა—იმის გასაგებათ, თუ ამა თუ იმ ნაწილის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საიდან მოდის ჟურნალები, რა და რამდენი ცალი?-ჩვენ ხან КВИЗ-ში მიგვითითებენ, ხან არმიაში და ხან კიდევ სად.

რატომ უნდა გავაზვიადოთ ასე საქმე? ნუ თუ სხვა გამოსავალი არ არის? საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ თავი დავანებოთ ისეთ „შუამავლობას“, რომელიც ხელს გვიშლის ჩვენ მუშაობაში და საქმეს ყოველმხრივ გვიფერხებს.

ანზორა.

## ჩვენი საქმიანობა.

14 მარტს მუშათა ცენტრალურ კლუბში 6-სე ლეგიონმა მოიწვია აღრიცხვაზე აყვანილ 1 და მე-2-ე ასეულის ცვალებად შემადგენლობის საერთო კრება. დაესწრო შემადგენლობის უმრავლესობა.

დღის წესრიგში, წამოყენებულ იქნა შემდეგი საკითხები: ტერიტორიალური სისტემის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული მხარეები; ორგანიზაციული კავშირი აღრიცხვაზე აყვანილ ცვალებად შემადგენლობასთან დელეგატების არჩევა ლეგიონის კონფერენციაზე; და მიმდინარე საკითხები.

კრებას მიესალმენ ლეგთავი და სამხკომი. პირველი საკითხის შესახებ—მოხსენება გააკეთა ამხ. ლორთქიფანიძემ—რომელიც შეეხო ტერ-სისტემის შემოღებას და მის პრაქტიკულს მხარეებს. შემოვიდა მრავალი შეკითხვები—მოხსენებაზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია სადაც ნათქვამია, რომ აღრიცხვაზე აყვანილი ამხანაგები—ნაწილში მისვლისთანავე გაიმსჭვალებიან მტკიცე მხედრული სულით, და გაათკეცებული ენერგიით შეუდგებიან ტერსისტემის საბოლოო განმტკიცებას.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა—ამხ. ნამგალაძე, რომელიც დაწვრილებით შეეხო ტერსისტემის პრაქტიკულ მხარეებთან დაკავშირებით გამოწვევამდე კავშირის დაჭერის და დაახლოვების აუცილებლობას აღრიცხვაზე აყვანილ ცვალებად შემადგენლობასთან, რასაც აღფრთოვანებით ხვდება აღრიცხვაზე აყვანილი ამხანაგები და მის პრაქტიკულად მოგვარების შესაძლებლობისათვის—საცხოვრებელ უბნების—მიხედვით და მასში შემავალ რაოდენობის შეფარდებით გამოყოფილ იქნენ ოცის თავები, მათი დამხმარე ათის თავები—რომლებთანაც უშუალო კავშირის დაჭერით საშვალება მოგვეცემა დავიჭიროთ მათთან ყოველგვარი კავშირი.

ასეთი ნაბიჯებით ვფიქრობთ ამ უახლოეს ხანებში პრაქტიკულად მოვაგვაროთ ლეგიონის ყველა ასეულებში კავშირის დაკავების საქმე.

შემდეგ განმარტებულ იქნა ლეგიონის მიერ მოწვეულ

# პარტიული ცხოვრება.

## მე-3 ლეგიონის 1-ლი კომ-უჯრედში.

11 მარტს შესდგა კომ-უჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრო, როგორც პარტიის წევრები ისე უპარტიო წ. არმიელები.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება თვითმყრობელი მეფის გადმოგდების შესახებ. 2. რემედასის ბიუროს დაარსება და ასეულის სარედაქციო კოლეგიის არჩევის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჭკადუამ. მოხსენებამ გამოიწვია რამოდენიმე საინტერესო შეკითხვები წ. არმიელებიდან.

რემედასის ბიუროს დაარსებისთვის ამხ. ა. ჭკადუას განმარტების შემდეგ ამორჩეული იქნა რემედასის ბიურო 5 ამხანაგების შემადგენლობით, რომლებსაც დაევალა ასეულის მასშტაბით აწარმოონ ენერგიული მუშაობა რემედასის გაძლიერებისათვის.

შემდეგ კრებამ აირჩია ასეულის სარედაქციო კოლეგია, რომელსაც დაევალა ყოველკვირეული კედლის გაზეთის გამოცემა.

ბოლოს გამოცხადებული იქმნა პარტ-გადასახადის თავის დროზე შემოტანის შესახებ და სხვა.

პარტკორი ა. ბობოხიძე.

კონფერენციის მნიშვნელობა, რომელზედაც უნდა გაირჩეს სხვა საჭირბოროტო საკითხები, უმთავრესად კი ცვალებად შემადგენლობაში ამ საქმიანობის ჩასატარებლად არჩეულ იქნა ოთხი ამხანაგი.

დასასრულს გამოტანილ იქნა წერილობითი მისალმებანი: „რევ სამხ. საბჭოს, არმიის სარდლის, დივიზიის და პოლიტგანის უფროსის, სახელზე გასაგზავნათ, ტექსტი ტელეფონოგრამის სახით გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ვ. ლორთქიფანიძე.

## მე-2 ქ.დ. პოლიტგანყოფილებაში.

13 მარტს პოლიტგანყოფილების თათბირზე მოსმენილ იქმნა ამხ. მარკაროვის მოხსენება ცვალებად პოლიტშემადგენლობის მომავალი შევსების შესახებ, რომელიც უნდა მოხდეს აპრილის შუა რიცხვებში.

მოხსენების ირგვლივ დადგენილ იქნა:

დაევალოს საგიტპროპო და საორგანიზაციო ნაწილებს წარმოადგინონ პოლიტშემადგენლობასთან მეცადინეობის სემინარიების პროგრამა, რომელშიაც პარტიულ მუშაობა იქმნეს გამოყოფილი ცალკე თავად.

მოხდეს გამოცდილების აღრიცხვა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დეფექტების აღმოჩენას.

საორგანიზაციო ნაწილმა გაატაროს სასწრაფო წესით სათანადო წლოვანების იმ პოლიტშემადგენლობათა მიწერა, რომელთაც უმსახურიათ წითელ არმიაში და ამ ჟამად უვადო შვებულებაში არიან გაშვებული.

ამისათვის ეთხოვოს საქ. კომპარტიის ცეკას მიახდინოს უვადო შვებულებაში მყოფ უფროს პოლიტშემადგენლობის მიწერა, თანახმად პოლიტგანის მიერ წარდგენილ სიისა.

საშუალო პოლიტშემადგენლობის მიწერა მოხდეს საერთო წესით.

წინადადება მიეცეს კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს რაიონების შესწავლა დააჩქაროს მუშაობა და ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

ეთხოვოს საქ. კომპარტიის ცეკას დაავალოს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს, ალმასკომების და პროფკავშირების კომფრაქციებს აღმოუჩინონ ყოველმხრივი დახმარება ტერიტორიალურ ნაწილების უფ-პოლიტშემადგენლობას, რაიონების შესწავლის საქმეში.

გაზეთ „წითელ არმიელი“-ს შესახებ თათბირმა დაადგინა:

იმ მიზნით, რომ ადგილობრივ ორგანიზაციები გაეცნონ წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრებას და ამით დაუახლოვდნენ წითელ არმიელთა მასას გაეწეროს გაზეთ „წითელ არმიელი“-ს თითო ეკზემპლიარი ყველა ადგილობრივ პარტიული, ახკომკავშირის, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებს, აგრეთვე გლეხკომებს, გლეხთა სახლებს, და ქოხ-სამკითხველოებს, რისთვისაც გაზეთის ტირაჟი გადიდებულ იქმნეს 200 ეკზემპლიარით.

ი. რ.

## ჩვენი შემოქმედებანი.
## „წითელი სხივი.“

უნდა ითქვას, რომ ჩვენ დივიზიის სამმართველოს (შტაბის პოლიტგანყოფილების, სამნეო და სასანიტარო ნაწილების) თვითმოქმედ ორგანიზაციების, როგორიც არის „რემედასი“-ს, „საჰაერო ფლოტი“ და სხვ., მუშაობა აქამდე ძლიერ მოიკოჭლებდა. მაგალ. „რემედასი“-ს მუშაობა გამოიხატებოდა მხოლოდ საწევრო გადასახადის აკრეფაში.

ამისათვის აღსანიშნავია ერთი პრაქტიკული ნაბიჯი,

რომელიც გადაუდგამს სამმართველოს „რემედასი“-ს ბიუროს იდეურ საქმიანობისაკენ.

ა. წ. 18 მარტს ცენტრ. წით-არმ. კლუბში ბიურომ გახსნა „რემედასი“-ს კუთხე. კუთხე ლამაზად არის მორთული ჟურნალებით, პლაკატებით და ლოზუნგებით.

კუთხეს ამშვენებს კედლის გაზეთი „წითელი სხივი“, პირვ. ცალი ნომერი, რომელიც გამოუშვია ზურგს უკან მდგომ ნაწილების „რემედასი“-ს ბიუროს. გაზეთი მიძღვნილია „რემედასი“-ს მნიშვნელობაზე საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებისთვის მებრძოლთა დახმარების საქმეში.

გაზეთის მეთაური: „პარიზის კომუნის დღე—18 მარტი და რემედასი“. შემდეგ მოყვანილია წერილი „დემოკრატიულ“ გერმანიის ციხეში გამომწყვდეულ რევოლიუციონერების მდგომარეობის შესახებ, „რემედასი“-ს მუშაობა ჩვენთან (ე. ი. დივიზიის სამმართველოში) და სხვ.

გაზეთი ლამაზად არის დასურათებული შტაბის მომუშავე ამხ. ბაშენევის მიერ.

კუთხის კედლებზე გაწოფენილია საბჭოთა ქვეყანაში გამოქცეულ ევროპის ციხეებში ტანჯულ და წამებულ რევოლიუციის მებრძოლთა სურათები. მაგიდაზე დევს „რემედასი“-ს დებულება, რომლის გაცნობა ყველას შეუძლია.

ჩვენ უნდა მივესალმოთ ამ პირველ დაწყებას იდეურ მუშაობისთვის თვითმოქმედ ორგანიზაციებისა და ვიქონიოთ იმედი, რომ მოკლე ხანში იმავე კლუბში სათანადო ორგანიზაციების ინიციატივით გახსნილი იქნება აგრეთვე „საჰაერო ფლოტის“ კუთხე, „დობროქიმის“, „სასროლო საქმის“ და სხვ.

ი. რ.—სკი.

## შინაური ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი.

**ექიმობა ჯილეხისა და მისი ასაცდენი საშუალებები.**

წრაფი ფორმის ჯილეხის დროს ექიმობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სანამ ექიმობას შეუდგებოდეთ, ცხოველი უკვე მკვდარია. რაც შეეხება დანარჩენი ფორმების ჯილეხს, აქ ექიმობას უსათუოდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, რადგან შესაძლებელია მისი საშვალებით რამოდენიმე ცხოველი მაინც სიკვდილისაგან გადავარჩინოთ.

მუწუკისებური ანუ კარბუნკულიოზური ჯილეხის დროს, როგორც—კი ცხოველს კისერზე თუ სხვა ზევით ნაჩვენებ ადგილებზე კანქვეშ ცხელი მუწუკი (სისივნე, კარბუნკული) გაუჩნდება, ამ ამდგილებზე დაუყონებლივ ცივი წყლის შეუწყვეტლად სხმა უნდა დავიწყოთ და ან ცივი ტილო, ან ცივი თიხა და ან ყინვა შემოვადვათ. გაცივების შემდეგ მუწუკი ან სკიპიდარით უნდა დავზილოთ და ან გაცხელებული რკინით კარგათ ამოვწვათ. დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია აგრეთვე იმასაც, თუ ამ მუწუკებს დანით დავსერავთ და 100 ნაწილ წყლისა და ხუთ ნაწილ კარბოლის სიმჟავისაგან მომზადებულ ხსნარით ხშირ ხშირად მოვბანთ ან შიგ შეუშხაპუნებთ.

თუ ცხოველს კუჭნაწლევების ჯილეხი სჭირს, მუცელი სტკივა და ხშირად ზედ იხედება,—ერთ ბოთლ წყალში ერთი სტოლის (მაგიდის) კოვზი ნავთი უნდა შეურიოთ და დღეში ეს წამალი ორ-სამ გზობად დავალევინოთ. შეიძლება სხვა წამლების დალევნებაც, მაგრამ მათი ხმარება უვეტექიმოთ საშიშიცაა და დაუშვებელიც.

თუმცა ჯილეხთან ბრძოლის დროს ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია ექიმობას, მაგრამ ის მაინც ვერა სძლებს ჯილეხის სრულ განადგურება—მოსპობას და დანარჩენი ცხოველების მომავალში მისგან სავსებით უზრუნველყოფას.

ამ მიზნის საუკეთესოდ მისაღწევად და ჯილეხისაგან თავდაცვის უტყუარ საშვალებად ითვლებიან შემდეგი ქვევით ჩამოთვლილი წინასწარ ასაცდენი ზომები და მათში პირველ ადგილზე **აცრა**, რომლის მოხდენის საუკეთესო დროდ **გაზაფხული და შემოდგომა** ითვლება.

ჯილეხის საწინააღმდეგო აცრა მდგომარეობს იმაში, რომ ცხოველს კან ქვეშ უშხაპუნებენ ვაქცინებს ანუ ჯილეხის ხელოვნურად დასუსტებულ ბაცილებს. ამ ვაქცინების შეშხაპუნების შემდეგ 9—12 თვის განმავლობაში ცხოველი სრულიად უზრუნველი ხდება ბუნებრივი ჯილეხით ავადგახდომისაგან და კიდევაც რომ დაემართოს, სულ ადვილად იხდის მას. აცრის წარმოება მხოლოდ ვეტექიმს შეუძლია და მისი ცხოვრებაში გასატარებლად ყოველთვის იგი უნდა იყოს მოწვეული.

აცრის გარდა ჯილეხის გავრცელების წინააღმდეგ და მის თავის დროზე მოსასპობად საჭიროა მიღებული იქნეს შემდეგი ზომები:

1. ავადმყოობფის გაჩენისთანავე, თუ გინდ ერთი ცხოველის მეტი არ იყოს ავად, უნდა დაუყონებლივ ადგილობრივ ვეტექიმს ან ვეტფერშალს მივმართოთ, ავადმყოფი ცხოველი სხვა ცხოველებისაგან განვაცალკეოდ და ისეთ გაცალკევებულ შენობაში დავაბათ იგი, რომელსაც ყველაზე უფრო ნაკლებად ვსაჭიროებთ.

2. ყველა ის საგნები, რომელთაც რამე კავშირი ჰქონდათ ავადმყოფ ცხოველთან: ვედრები, ბაგები, მოკაზმულობა ბაწრები და სხვა უნდა მოვსპოთ. თუ ყველა ამ საგნების მოსპობა დიდ ზარალს გამოიწვევს, შესაძლებელია მათი დატოვება, მაგრამ იმ პირობით, თუ რომ ისინი უსათუოდ ვეტექიმის ან ვეტფერშალის ხელმძღვანელობით დეზინფექციის ქვეშ გატარებული იქნებიან.

3. უნდა ვეცადოთ, რომ როგორმე ჯანმრთელი ცხოველები ბუჩქების კბენისგან დავიცავათ და იმ მინდვრებში, სადაც ავადმყოფი ცხოველები იდგნენ და ჯილეხით მკვდარი ცხოველების ლეშები არიან დამარხული, არც თივა მოვთიბოთ და არც საქონელს ვაძოვთ. განსაკუთრებით ეს ზომები უნდა განვაძლიეროთ **ივნისსა და ივლისში**, როდესაც ეს ავადმყოფობა ყველა თვეებზე უფრო მძვინვარებს. იმ ადგილზე, სადაც ავადმყოფი ცხოველი იწვა, მიწის ზედაპირი სქლად უნდა ავიღოთ და მისი ღრმად მიწაში ჩაფლის შემდეგ ზევიდან კირი მოვასხად.

ვეტ-ექიმი ფარეიშვილი.

## ამბები სოფლებიდან

**აგრო დახმარება სოფლათ.**

თელავის აღმასკომმა, თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა მომავალი მუშაობის აგრონომიული დახმარებისათვის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა.

**თელავის გამშვენიერება.**

თელავის აღმასკომმა მოიწონა მეურნეობის განყოფილების მიერ წარდგენილი გეგმა ქალაქის კეთილ მოწყობისა და გამშვენიერების შესახებ.

**ყაზარმა-საცხოვრებელ ბინებათ.**

დუშეთის აღმასკომმა გადასწყვიტა შეაკეთოს ადგილობრივი ყაზარმა (ყოფ. ოფიცერთა ფლიგელი) და გამოიყენოს იგი საცხოვრებელ ბინებათ.

**ელსადგური დუშეთში.**

დუშეთის აღმასკომმა გადასწყვიტა ადგილობრივ ელექტრო სადგურზე გამოსცვალოს ძველი მოტორები-ახლებით.

**დახმარება სოფელს.**

დუშეთის მაზრის ადგილ. მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა სათესლე მასალით დახმარება აღმოუჩინოს სოფ. დუდოს მცხოვრებთ (ხევსურეთშია).

**საბეითლო ამბულატორია თელავში.**

ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებას განზრახული აქვს თელავში მოაწყოს საბეითლო ამბულატორია.

## ახალი ამბები.

— **პოლიტგანყოფილებაში.** დღეს საღამოს 6 საათზე მოწვეულია პოლიტგანყ. კომუჯრედის სხდომა. სხვათა შორის, ასარჩევია კომისია უჯრედის წევრთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლათ.

— **წით. არმ. და ფლოტის სახლში.** ორშაბათს 23 მარტს წაკითხულ იქნება მოხსენება გლეხკომების მნიშვნელობის შესახებ.

— **ტფილისის ყრუ-მუნჯთა** საზოგადოებამ გადასწყვიტა გახსნას საკუთარი წარმოებები: სამკერვალო, ფეხსაცმელების სახელოსნო და მოაწყოს საკუთარი კლუბი.

— **წყალდიდობისაგან დასაცავათ.** ტფილისის კომუნალური განყოფილება შეუდგა ვერის ბაღების შემოკავებას წყალდიდობისაგან დასაცავათ.

— **ბეჭვდითი სიტყვის** მუშაკთა კავშირის სრულიად საქართველოს ყრილობა მოწვეულია 20 აპრილისათვის.

— **ზემო-ავჭალაში.** ზემო-ავჭალის სამუშაოთა ადგილზე ამჟად მუშაობს 2 ათას მუშაზე მეტი.

— **ახალი სახალხო სასამართლოები.** საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა იუსტ. კომისარიატის შუამდგომლობა სოფ. ქარელში და წითელ ქალაქში სახალხო სასამართლოების გახსნის შესახებ.

— **ინვალიდები.** საქ ინვალიდთა კავშირმა მიმართა დამზღვ. კასას გამოყოს 100 ინვალიდი ქუჩებში პაპიროსების გასასყიდათ.

— **სასოფლო სამეურნ. იარაღები.** ა. კ. სახელმწ. ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო ორი ვაგონი სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **ექიმების მოთხოვნილება.** საფერშლო პუნქტების საექიმო პუნქტებათ გადაკეთების გამო მაზრებში დიდი მოთხოვნილებაა ექიმების.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.**

1. შეიძლება თუ არა იყონ პროფკავშირის წევრებათ სამხედრო კომისარიატის ადმინისტრატიული შემადგენლობა და ყველა თანამშრომლები?

**პასუხი.**

შესაძლებელია და კიდევაც არიან ზოგიერთები (სამაზრო სამხედრო კომისარიატიდან) საბჭოთა მომუშავეთა კავშირში და თუ დაზღვეულნი არიან დამზღვევ კასაში.

მეორე კითხვაზე პასუხს მიიღებთ რედაქციაში.

**წ. არ. ბარათაშვილს** თქვენი შეკითხვის შინაარსი გაუგებარია. მოგვწერეთ გარკვეულად.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. დათაშვილს.** „როგორ შეხვდა 4-ხე ლეგ. მესამე ასეული საქართველოს გასაბჭოების დღეს“ არ გავა. დაგვიანებულია.

**ამხ. სორნას.** თქვენი წერილი „ქალთა დღე 8 ასეულში“ არ დაიბეჭდება. წერილებს უნდა მოაწეროთ თქვენი ნამდვილი გვარი და სახელი.

**ამხ. ს. მალანიას.** თქვენი კორესპონდენცია 4-ხე ასეულის შესახებ არ გამოდგა. არ გავა.

**ამხ. მ. ოდიშარიას.** წერილი „18 მარტს“ არ გავა. მოგვაწოდეთ წერილები ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. ფრანგიშვილს.** თქვენი კორესპონდენცია გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისთვის.

გაზ. „წითელ-არმიელის“ კანტორა სთხოვს ქვემოდასახელებულ ამხანაგებს შემოიარონ რედაქციაში, თებერვლის თვის ჰონორარის მისაღებათ.

მაჭავარიანი, დ. ლომაძე, დ. ზუფრაშვილი, დ. ჭანკვეტაძე, ქავთარაძე. აკ. ჭკადუა, ფოფხაძე, ს. იმნაიშვილი, ბარათაშვილი, ბოკუჩავა, ბარელაძე, კიკვაძე, ს. ბუბაშვილი, ლ. გიორგაძე, ცხომელიძე, იშხნელი, ოდიშარია, რუსეიშვილი, ს. ბახტაძე, ზაუტაშვილი, მაყაშვილი, კუხალეიშვილი, კინწურაშვილი, ტაბატაძე, მონიავა, როსტომაშვილი, ჭელიძე, თელია, ოყროშიძე და კოხრეიძე.

## განცხადებები.

### ვის აქვს საწინააღმდეგო.

მე-6-ხე ლეგიონის ბიურო კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ანთიძე ნიკოლოზ აქსენტის-ძე
2. გვასალია პარმენ გიორგის-ძე
3. კვაჩიძე ვასილი ალექსანდრეს-ძე
4. ჯიქია მიხეილ გერასიმეს-ძე
5. კიკვიძე გიორგი ზაქარიას-ძე
6. კილასონია გერმანე გიორგის-ძე
7. ხელაძე კოლია ეზეკის-ძე
8. ბოლქვაძე მირიან ლუკას-ძე.

მე-6-ხე ლეგიონის ბიურო-კოლექტივი სთხოვს ყველა იმ ამხანაგებს თუ რაიმე იციან უარყოფილი ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე გვაცნობონ წერილობით ერთი კვირის განმავლობაში, ანდა ტელეფონით— 6-31 სამოქ. (კუკიის ყაზარმა).

ბ/კ. მდივანი

ა. წ. 23 მარტს დილის 10 საათზე 1-ლ ქ. მ. დივიზიის პარტკომისია გაარჩევს „ევკოგრუზ“-ის ხე-ტყის ქარხნის მუშა წოწორიას საქმეს, რომელსაც ბრალდება ამავე ქარხნის მუშა მესხის რევოლვერით დაჭრა. სხდომაზე გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

1. ბახტაძე („ევკოგრუზი“-ს გამგეობის წევრი)
2. კალანდაძე (კომუჯრედის მდივანი)
3. ხე-ტყის ქარხნის ადგილკომის მდივანი.
4. ხიხაძე (სამხედრო გამომძიებელი)
5. წოწორია მიხეილი.

1 ლ ქ. მ. დ. პარტკომისია.

ორშაბათს, 23 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია 1-ლ ქ. მ. დივ. პარტკომისიის სხდომა (ევანგულოვის ქუჩა № 2), რომელზედაც საჭიროა გამოცხადდენ პარტკომისიის ყველა წევრები და კანდიდატები, აგრეთვე ქვემო ჩამოთვლილნი პირნი და კომ-უჯრედის მდივნები:

**საარტილერიო ლეგიონიდან**

1. არველაძე აკაკი. 2. დვალი გრიგორი. 3. კაპანაძე პლატონ. 4. ნინუა სამსონ. 5. როსტომაშვილი სერგო. 6. გვენცაძე ილია. 7. კოპალიანი ალფეზ. 8. ენუქაშვილი ივანე.

**მესანგრე ასეულიდან**

1. სტურუა არკადი.

**ქართ. მეთ. სამხედრო სკოლიდან.**

1. მაჭარაძე დავით.

**„ევკოგრუზი“-დან.**

1. ავეტისიანცი არტაშ.

1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისია.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე